ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.01.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/16

შეკითხვა:

ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობს პოზიციათა შეუთავსებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ურჩევს მას გარკვეული მოქმედებების შესრულებას, კლიენტი არ ასრულებს მას. შეუძლია თუ არა ადვოკატს შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა? რა პირობების დაცვით? კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების გარეშე.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი: „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლების ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი ადვოკატს უფლებას აძლევს ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე უარი თქვას საქმის წარმოებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მან რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს

რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. სამივე კომპონენტი კლიენტის ინტერესების უპირატესობითაა გაჯერებული და ადვოკატს პირდაპირ ბოჭავს საქმეზე უარის თქმის დროს ასეთი ნების ცალმხრივად გამოვლენის შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია პოზიციათა უთანხმოება - კლიენტი არ ითვალისწინებს ადვოკატის რჩევას და არ მოქმედებს მის შესაბამისად. ეს რჩევა, შეკითხვის მიხედვით, გათვალისწინებულია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების გარეშე და მას არ ადგება ზიანი, რადგან, სავარაუდოდ აქვს საკმარისი დრო სურვილის შემთხვევაში სხვა ადვოკატთან დასაკავშირებლად და, ასევე, მან იცის რა მოქმედება და როგორ უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ პროცესი მის სასარგებლოდ დასრულდეს.

შესაბამისად, პოზიციათა შეუთავსებლობა, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად ადვოკატისათვის, რათა მან შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა შესაბამისი პირობების დაცვით. სასურველია, ადვოკატმა ოფიციალურად, საქმის განმხილველ ორგანოში დააფიქსიროს ასცილებს შესახებ. ასევე, ადვოკატი, ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ვალდებულია შეასრულოს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება და კლიენტს „დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი."

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობს პოზიციათა შეუთანხმებლობა, რაც გამოიხატა კლიენტის არაერთგზისი ქმედებით, რის გამოც ვერ ხერხდება საქმის მის სასარგებლოდ დასრულება, ადვოკატს, სავარაუდოდ შეუძლია შეწყვიტოს კლიენტთან სამართლებრივი ურთიერთობა. აღიშნულის შემთხვევაში, ადვოკატმა რამოდენიმე პირობა უნდა გაითვალისწინოს: კონკრეტული გარემოებების არსებობა, როდესაც ადვოკატი უარს ამბობს საქმეზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია; კლიენტს რეალურად უნდა შეეძლოს სხვა ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია როდის, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე ხდება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მომსახურებაზე უარის თქმა; ადვოკატის მიერ საქმეზე უარის თქმისას აცილებული უნდა იქნეს კლიენტისათვის ზიანის მიყენება. ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ადვოკატმა „კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან

რომელიც ადვოკატმა სასამართლოსაგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში.“

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.